

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

## შინაარსი

|                                          |   |
|------------------------------------------|---|
| ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება ..... | 2 |
| სრული შემოსავლის ანგარიშგება .....       | 3 |
| კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება .....  | 4 |
| ფულადი ნაკადების ანგარიშგება .....       | 5 |

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

|                                                                    |    |
|--------------------------------------------------------------------|----|
| 1 კომპანია და მისი საქმიანობა .....                                | 7  |
| 2 მომზადების საფუძვლები .....                                      | 7  |
| 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა ..... | 8  |
| 4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები .....           | 10 |
| 5 ძირითადი საშუალებები .....                                       | 13 |
| 6 ფული და ფულის ეკვივალენტები .....                                | 14 |
| 7 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები .....                                 | 14 |
| 8 მიმდინარე სასაქონლო მატერიალური ფასეულობები .....                | 14 |
| 9 კაპიტალი .....                                                   | 14 |
| 10 მოკლევადიანი სესხები .....                                      | 15 |
| 11 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები .....                             | 15 |
| 12 საერთო მოგება .....                                             | 15 |
| 13 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები .....                         | 16 |
| 14 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან .....                        | 16 |
| 15 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ .....                      | 17 |

**შპს „ტრანსპორტი“**

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
(ქართულ ლარში)

|                                       | შენიშვნა | 31-დეკ-19        | 31-დეკ-18        |
|---------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>გრძელვადიანი აქტივები</b>          |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებები                  | 5        | 257,960          | 207,567          |
| არამატერიალური აქტივები               |          | 4,059            | 5,055            |
| გაცემული სესხი                        | 6        | 82,980           | 110,271          |
| <b>სულ გრძელვადიანი აქტივები</b>      |          | <b>344,999</b>   | <b>322,893</b>   |
| <b>მოკლევადიანი აქტივები</b>          |          |                  |                  |
| ფული და ფულის ეკვივალენტები           | 7        | 71,371           | 180,761          |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები            | 8        | 132,629          | 123,353          |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები     | 9        | 1,349,082        | 1,271,780        |
| გადახდილი ავანსები                    |          | 363,875          | 108,058          |
| <b>სულ მოკლევადიანი აქტივები</b>      |          | <b>1,916,957</b> | <b>1,683,952</b> |
| <b>სულ აქტივები</b>                   |          | <b>2,261,956</b> | <b>2,006,845</b> |
| <b>კაპიტალი</b>                       |          |                  |                  |
| საწესდებო კაპიტალი                    | 10       | 1,406,407        | 1,411,407        |
| დაგროვილი ზარალი                      | 10       | (1,341,671)      | (957,847)        |
| <b>სულ კაპიტალი</b>                   |          | <b>64,736</b>    | <b>453,560</b>   |
| <b>მოკლევადიანი ვალდებულებები</b>     |          |                  |                  |
| მოკლევადიანი სესხები                  | 11       | 1,653,751        | 1,026,581        |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები         | 12       | 310,803          | 296,268          |
| საგადასახადო ვალდებულებები            |          | 24,097           | 79,807           |
| მიღებული ავანსები                     |          | 208,569          | 150,629          |
| <b>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</b> |          | <b>2,197,220</b> | <b>1,553,285</b> |
| <b>სულ ვალდებულებები</b>              |          | <b>2,197,220</b> | <b>1,553,285</b> |
| <b>სულ კაპიტალი და ვალდებულებები</b>  |          | <b>2,261,956</b> | <b>2,006,845</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტერი“  
 ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება  
 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით  
 (ქართულ ლარში)

|                                   | შენიშვნა | 31-დეკ-19   | 31-დეკ-18 |
|-----------------------------------|----------|-------------|-----------|
| გრძელვადიანი აქტივები             |          |             |           |
| ძირითადი საშუალებები              | 5        | 257,960     | 207,567   |
| არამატერიალური აქტივები           |          | 4,059       | 5,055     |
| გაცემული სესხი                    | 6        | 82,980      | 110,271   |
| სულ გრძელვადიანი აქტივები         |          | 344,999     | 322,893   |
| მოკლევადიანი აქტივები             |          |             |           |
| ფული და ფულის ეკვივალენტები       | 7        | 71,371      | 180,761   |
| სავაჭრო და სხვა მოთხოვნები        | 8        | 132,629     | 123,353   |
| სასაქონლო მატერიალური ფასეულობები | 9        | 1,349,082   | 1,271,780 |
| გადახდილი ავანსები                |          | 363,875     | 108,058   |
| სულ მოკლევადიანი აქტივები         |          | 1,916,957   | 1,683,952 |
| სულ აქტივები                      |          | 2,261,956   | 2,006,845 |
| კაპიტალი                          |          |             |           |
| საწესდებო კაპიტალი                | 10       | 1,406,407   | 1,411,407 |
| დაგროვილი ზარალი                  | 10       | (1,341,671) | (957,847) |
| სულ კაპიტალი                      |          | 64,736      | 453,560   |
| მოკლევადიანი ვალდებულებები        |          |             |           |
| მოკლევადიანი სესხები              | 11       | 1,653,751   | 1,026,581 |
| სავაჭრო და სხვა ვალდებულებები     | 12       | 310,803     | 296,268   |
| საგადასახადო ვალდებულებები        |          | 24,097      | 79,807    |
| მიღებული ავანსები                 |          | 208,569     | 150,629   |
| სულ მოკლევადიანი ვალდებულებები    |          | 2,197,220   | 1,553,285 |
| სულ ვალდებულებები                 |          | 2,197,220   | 1,553,285 |
| სულ კაპიტალი და ვალდებულებები     |          | 2,261,956   | 2,006,845 |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

  
 სერგო შულაროვი  
 დირექტორი

  
 რუსუდან როსტიაშვილი  
 მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                       | შენიშვნა | 2019             | 2018             |
|-------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| ამონაგები                                             | 13       | 5,217,892        | 2,826,047        |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება                 | 13       | (3,460,900)      | (1,802,387)      |
| <b>საერთო მოგება</b>                                  |          | <b>1,756,992</b> | <b>1,023,660</b> |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები                     | 14       | (1,973,735)      | (1,580,264)      |
| სხვა შემოსავლები                                      |          | 83,156           | 92,046           |
| ფინანსური ხარჯი                                       |          | (112,575)        | (73,417)         |
| ფინანსური შემოსავალი                                  |          | 12,568           | 10,640           |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                             |          | (75,303)         | 6,775            |
| სხვა ხარჯები                                          |          | (74,926)         | (86,343)         |
| <b>ზარალი დაბეგრამდე</b>                              |          | <b>(383,824)</b> | <b>(606,903)</b> |
| მოგების გადასახადი                                    |          | -                | -                |
| <b>წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი</b> |          | <b>(383,824)</b> | <b>(606,903)</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტერი“

სრული შემოსავლის ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                | შენიშვნა | 2019        | 2018        |
|------------------------------------------------|----------|-------------|-------------|
| ამონაგები                                      | 13       | 5,217,892   | 2,826,047   |
| რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება          | 13       | (3,460,900) | (1,802,387) |
| საერთო მოგება                                  |          | 1,756,992   | 1,023,660   |
| ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები              | 14       | (1,973,735) | (1,580,264) |
| სხვა შემოსავლები                               |          | 83,156      | 92,046      |
| ფინანსური ხარჯი                                |          | (112,575)   | (73,417)    |
| ფინანსური შემოსავალი                           |          | 12,568      | 10,640      |
| ზარალი საკუროსო სხვაობიდან                     |          | (75,303)    | 6,775       |
| სხვა ხარჯები                                   |          | (74,926)    | (86,343)    |
| ზარალი დაბეგვრამდე                             |          | (383,824)   | (606,903)   |
| მოგების გადასახადი                             |          | -           | -           |
| წლის წმინდა ზარალი და მთლიანი სრული შემოსავალი |          | (383,824)   | (606,903)   |


ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.



სერგო შულაროვი

დირექტორი





რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                   | საწესდებო<br>კაპიტალი | დაგროვილი<br>ზარალი | სულ კაპიტალი     |
|-----------------------------------|-----------------------|---------------------|------------------|
| <b>31 დეკემბერი, 2017</b>         | <b>1,426,407</b>      | <b>(350,944)</b>    | <b>1,075,463</b> |
| წლის მთლიანი სრული ზარალი         | -                     | (606,903)           | (606,903)        |
| კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 10) | (15,000)              | -                   | (15,000)         |
| <b>31 დეკემბერი, 2018</b>         | <b>1,411,407</b>      | <b>(957,847)</b>    | <b>453,560</b>   |
| წლის მთლიანი სრული ზარალი         | -                     | (383,824)           | (383,824)        |
| კაპიტალის შემცირება (შენიშვნა 10) | (5,000)               | -                   | (5,000)          |
| <b>31 დეკემბერი, 2019</b>         | <b>1,406,407</b>      | <b>(1,341,671)</b>  | <b>64,736</b>    |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

*huy*

რუსუდან როსტიაშვილი

მთავარი ბუღალტერი



შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                                                   | შენიშვნა | 2019             | 2018             |
|-----------------------------------------------------------------------------------|----------|------------------|------------------|
| <b>საოპერაციო საქმიანობა</b>                                                      |          |                  |                  |
| ზარალი გადასახადამდე                                                              |          | (383,824)        | (606,903)        |
| <b>კორექტირებები:</b>                                                             |          |                  |                  |
| ცვეთა და ამორტიზაცია                                                              | 5        | 74,623           | 51,677           |
| ფინანსური შემოსავალი                                                              |          | (12,568)         | (10,640)         |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                                                         |          | 75,303           | -                |
| ფინანსური ხარჯები                                                                 |          | 112,575          | 73,417           |
| <b>ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან საბრუნავ კაპიტალში ცვლილებებამდე:</b> |          | <b>(171,556)</b> | <b>(133,891)</b> |
| <b>სამუშაო კაპიტალის კორექტირება:</b>                                             |          |                  |                  |
| ცვლილება სასაქონლო მატერიალური ფასეულობებში                                       |          | (59,492)         | 580,933          |
| ცვლილება სავაჭრო და სხვა მოთხოვნებში                                              |          | (9,198)          | 21,935           |
| ცვლილება გადახდილ ავანსებში                                                       |          | (287,740)        | (91,609)         |
| ცვლილება სავაჭრო ვალდებულებებში                                                   |          | (8,608)          | 27,802           |
| ცვლილება მიღებულ ავანსებში                                                        |          | 57,940           | 144,479          |
| ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში                                              |          | (23,866)         | 34,595           |
| <b>საოპერაციო საქმიანობიდან ფულადი სახსრები პროცენტამდე და დაბეგვრამდე</b>        |          | <b>(464,776)</b> | <b>(464,776)</b> |
| გადახდილი პროცენტი                                                                |          | (112,518)        | (70,656)         |
| მიღებული პროცენტები                                                               |          | 10,425           | 10,640           |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საოპერაციო საქმიანობაში</b>                |          | <b>(566,869)</b> | <b>165,670</b>   |
| <b>საინვესტიციო საქმიანობა</b>                                                    |          |                  |                  |
| ძირითადი საშუალებების შეძენა                                                      | 5        | (124,020)        | (156,942)        |
| ძირითადი საშუალებების რეალიზაცია                                                  | 5        | -                | 30,378           |
| სესხის გაცემა                                                                     |          | (327,277)        | (274,073)        |
| გაცემული სესხის დაბრუნება                                                         |          | 368,503          | 198,755          |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები გამოყენებული საინვესტიციო საქმიანობაში</b>              |          | <b>(82,794)</b>  | <b>(201,882)</b> |

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                            |          |                  |                |
|------------------------------------------------------------|----------|------------------|----------------|
| <b>საფინანსო საქმიანობა</b>                                |          |                  |                |
| ბანკის სესხის აღება                                        |          | 3,892,835        | 2,120,856      |
| ბანკის სესხის დაფარვა                                      |          | (3,340,103)      | (1,954,204)    |
| კაპიტალის შემცირება                                        | 10       | (5,000)          | (15,000)       |
| <b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>      |          | <b>547,732</b>   | <b>151,652</b> |
| <b>წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება</b> |          | <b>(101,931)</b> | <b>115,440</b> |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                                  |          | (7,459)          | -              |
| ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში                 | 7        | 180,761          | 65,321         |
| <b>ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>               | <b>7</b> | <b>71,371</b>    | <b>180,761</b> |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.

სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ტრანსპორტერი“

ფულადი ნაკადების ანგარიშგება

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

|                                                     |    |             |             |
|-----------------------------------------------------|----|-------------|-------------|
| საფინანსო საქმიანობა                                |    | 3,892,835   | 2,120,856   |
| ბანკის სესხის აღება                                 |    | (3,340,103) | (1,954,204) |
| ბანკის სესხის დაფარვა                               | 10 | (5,000)     | (15,000)    |
| კაპიტალის შემცირება                                 |    | 547,732     | 151,652     |
| წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან      |    | (101,931)   | 115,440     |
| წმინდა ფულის და ფულის ეკვივალენტების ზრდა/შემცირება |    | (7,459)     | -           |
| ზარალი საკურსო სხვაობიდან                           | 7  | 180,761     | 65,321      |
| ფული და ფული ეკვივალენტები წლის დასაწყისში          | 7  | 71,371      | 180,761     |
| ფული და ფული ეკვივალენტები წლის ბოლოს               |    |             |             |

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებული ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს.





სერგო შულაროვი

რუსუდან როსტიაშვილი

დირექტორი

მთავარი ბუღალტერი

შენიშვნები 7-16 გვერდებზე წარმოადგენს აღნიშნული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

### 1 კომპანია და მისი საქმიანობა

შპს "ტრანსპორტერი" (შემდგომში „კომპანია“) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაარსდა 2015 წლის 4 დეკემბერს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, თბილისი, ვაკე-საბურთალოს რაიონი, ნ.ყიფშიძის ქ., N 5'ა', ბ. 22-23.

კომპანიის წილი 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადანაწილებულია შემდეგნაირად:

- აკაკი ალადაშვილი - 10%
- სერგო შულაროვი - 90%

საქართველოს მასშტაბით კომპანია წარმოდგენილია თბილისში, ბათუმსა და ბაკურიანში. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა BRP-ის კვადროციკლების, ბაგის ტიპის ავტომობილების, თოვლმავლების, წყლის სკუტერების, კატერების, ნავების, დაკიდებული მრავების, JOBE-ს წყლის სპორტთან დაკავშირებულ აქსესუარების, ItalCar-ის ელექტრომობილების, Quicksilver-ის, Grand-ის, Nautic-ისა და Zodiac-ის კატერების, აღნიშნული ტექნიკის ეკიპირება, აქსესუარების, სათადარიგო ნაწილების და საცხებ-საპოხ საშუალებების რეალიზაცია.

კომპანია 2016 წლიდან წარმოადგენს კანადური კომპანია BRP-ის (Bombardier Recreational Products) ოფიციალურ დისტრიბუტორს საქართველოში. 2017 წლის დასაწყისიდან კომპანია არის ჰოლანდიური წყლის სპორტთან დაკავშირებული აქსესუარების ბრენდის JOBE-ს, იტალიური ელექტრომობილების ბრენდის ItalCar-ისა და კატერების მწარმოებელი ამერიკული ბრენდის Quicksilver-ის ოფიციალური დისტრიბუტორი საქართველოში.

კომპანიას ასევე აქვს საგარანტიო და გარანტიის შემდგომი მომსახურება, როგორც საკუთარი ბრენდის, ასევე სხვა ბრენდების მიერ წარმოებული რეკრეაციული ტექნიკისთვის. ამასთან, კომპანიას ყავს მობილური სერვის ჯგუფი, რომელიც ტექნიკის ადგილზე მომსახურებას უზრუნველყოფს.

2019 წლის მდგომარეობით კომპანიის დასაქმებულთა საშუალო რაოდენობაა - 31 (2018 - 31).

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებულ ეკონომიკურ, ფინანსურ და მონეტარულ პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკურ გარემოზე.

ხელმძღვანელობას არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ ის იღებს ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

### 2 მომზადების საფუძვლები

კომპანიამ მოამზადა ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრისთვის დასრულებული წლისათვის მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად, რომელიც გამოცემულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების მეთოდის გამოყენებით, თუ სხვა რამ არ არის მითითებული. ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში თუ სხვა რამე არ არის მითითებული. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს კალენდარული წელი 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით. ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია კომპანიის სააღრიცხვო ჩანაწერებზე დაყრდნობით.

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას ანგარიშგების თარიღის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

COVID 19-ის ვირუსის გავრცელებასთან დაკავშირებით მსოფლიოში და მათ შორის საქართველოში შექმნილი ვითარების გამო, არაერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიამ მოახდინა არსებული სიტუაციის პირობებში სამომავლო პერსპექტივის შეფასება და შედეგად, კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ არ არსებობს ეჭვი კომპანიის ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებით ანგარიშგების პერიოდის შემდგომ მინიმუმ 12 თვის განმავლობაში.

### 3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკისა და შეფასების მიმოხილვა

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკა განსაზღვრულია სააღრიცხვო პოლიტიკის განმარტებით შენიშვნაში. აღნიშნული პოლიტიკა თანმიმდევრულადაა გამოყენებული წარმოდგენილ ყველა ინფორმაციაზე, თუ ეს სხვაგვარად არაა აღნიშნული.

#### ფუნქციონალური და წარდგენის ვალუტა, უცხოური ვალუტის კონვერტაცია

კომპანიის ფუნქციონალურ და წარდგენის ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები აღირიცხება ფუნქციონალურ ვალუტაში, რომლის გადაფასება ხდება გარიგების დღეს არსებული კურსით. უცხოურ ვალუტაში გამოხატული ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების გადაფასება ლარში ხდება საქართველოს ეროვნული ბანკის („სებ“) მიერ გამოცხადებული და ანგარიშგების თარიღისთვის მოქმედი ოფიციალური გაცვლითი კურსით.

უცხოური ვალუტაში განხორციელებული ოპერაციების გადაფასების შედეგად წარმოქმნილი სხვაობა აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული „სებ“ გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

|                                       | აშშ დოლარი / ლარი | ევრო / ლარი |
|---------------------------------------|-------------------|-------------|
| გაცვლითი კურსი 2019 წლის 31 დეკემბერს | 2.8677            | 3.2095      |
| გაცვლითი კურსი 2018 წლის 31 დეკემბერს | 2.6766            | 3.0701      |

#### ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების ერთეულის საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულების კომპონენტები მოიცავს შეძენის ფასსა და უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად. საწყისი აღიარების შემდგომ, თვითღირებულებიდან გამოკლებულია დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების შედეგად აღრიცხული ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის ცვეთა დაირიცხება იმ თარიღიდან, როდესაც ხდება აქტივის ექსპლუატაციაში გაშვება. ცვეთის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადაა 5 წელი.

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების გაუფასურების შეფასება ხდება მაშინ, როდესაც მოვლენები ან გარემოებათა ცვლილებები მიანიშნებენ, რომ საბალანსო ღირებულების ამოღება შესაძლოა ვერ მოხერხდეს. გაუფასურების ზარალის აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში. შეკეთება-განახლებასთან დაკავშირებული ხარჯები აღირიცხება წარმოშობისას და მათი ჩართვა ხდება სხვა საოპერაციო ხარჯებში თუ ისინი არ ექვემდებარება კაპიტალიზაციას. სასარგებლო მომსახურების ვადა მიმოხილვება და საჭიროების შემთხვევაში კორექტირდება ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს.

ძირითადი საშუალებების აღიარების შეწყვეტა ხდება მისი გასხვისების ან ჩამოწერის დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი მოგება ან ზარალი (რომელიც

## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

გამოითვლება აქტივის გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის ოდენობით) აღირიცხება მოგებაში ან ზარალში სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალში/ზარალში იმ პერიოდისთვის, რომლის განმავლობაშიც მოხდა აქტივის აღიარების შეწყვეტა.

### **არამატერიალური აქტივები**

არამატერიალური აქტივები მოიცავს პროგრამულ უზრუნველყოფასა და ლიცენზიებს. არამატერიალური აქტივები პირველადი აღიარებისას აღირიცხება თვითღირებულებით. პირველადი აღიარების შემდგომ არამატერიალური აქტივები აღირიცხება გრძელდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დაგროვილი ამორტიზაცია და დაგროვილი გაუფასურების ზარალი. არამატერიალურ აქტივებზე ამორტიზაციის დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით აქტივის შეფასებული მომსახურების ვადის 6 – 7 წლის მანძილზე. ვადიანი არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ვადების გადახედვა ხდება სულ მცირე ყოველი საანგარიშგებო წლის ბოლოს.

### **ფული და ფულის ეკვივალენტები.**

ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისგან და რეზიდენტ ბანკებში არსებული ფულის ნაშთისგან. ფული და ფულის ეკვივალენტები ექვემდებარება ღირებულებაში ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

### **სასაქონლო-მატერიალური მარაგები**

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის, გადამუშავების და სხვა ზარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით.

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ზარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ზარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ზარჯი. გაუფასურების ზარალი აღიარდება მოგება-ზარალზე.

კომპანიის მფლობელობაში არსებული სასაქონლო-მატერიალური მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამიზნული სატრანსპორტო საშუალებებისგან.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და მოიცავს სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეძენაზე გაწეულ დანახარჯებს, გადამუშავების დანახარჯებს და ამჟამინდელ მდგომარეობამდე სასაქონლო-მატერიალური მარაგების მისაყვანად გაწეულ ზარჯებს. ნებისმიერი გაუფასურების ზარალის გამოვლენის მიზნით, ყოველწლიურად ხდება არალიკვიდურ მარაგების იდენტიფიკაცია, მოძველებული ერთეულების არსებობის შემთხვევაში, ჩამოიწერება სასაქონლო-მატერიალური მარაგების გაუფასურების რეზერვის ანგარიშის მეშვეობით.

### **ფინანსური ინსტრუმენტები**

კომპანია ფინანსურ აქტივს ან ვალდებულებას თავდაპირველად აღიარებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი ხდება ინსტრუმენტის სახელშეკრულებო შეთანხმების მონაწილე. თავდაპირველი აღიარებისას, კომპანია ფინანსურ აქტივსა და ვალდებულებას აღიარებს გარიგების ფასით. კომპანია ფინანსურ აქტივებს აღიარებს ანგარიშსწორების თარიღით, როდესაც კომპანია მას მიიღებს და მისი აღიარების შეწყვეტა ხდება იმ დღეს, როდესაც კომპანია მას გასხვისებს. ფინანსური აქტივების შემდგომი აღირიცხვა დამოკიდებულია თავდაპირველი აღიარებისას მათ კლასიფიკაციაზე.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს კომპანია აფასებს ფინანსური აქტივებს გაუფასურებაზე. კომპანია აფასებს ხომ არ დადგა თავდაპირველი აღიარების შემდეგ ერთი ან მეტი გარემოება, რომელსაც გავლენა ექნებოდა ფინანსური აქტივის (აქტივთა ჯგუფის) თავდაპირველად გამოთვლილ სამომავლო ფულად ნაკადებზე.

## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

კომპანია ფინანსური აქტივის აღიარებას წვევს მაშინ, როდესაც სახელშეკრულებო უფლებები აქტივისგან წარმოდგარ ფულად ნაკადებზე იწურება, ან ეს უფლება ხელშეკრულების საფუძველზე გადაეცემა მეორე პირს ყველანაირ რისკთან და საკუთრების უფლებასთან ერთად. გადაცემული ფინანსური აქტივიდან წარმოქმნილი ნებისმიერი სარგებელი კომპანიის მიერ აღიარდება როგორც ცალკეული აქტივი ან ვალდებულება.

ფინანსური ვალდებულება კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებიდან ამოღებულ იქნება მხოლოდ მაშინ, როდესაც ვალდებულება შესრულდება, გაუქმდება ან ამოიწურება (დაიფარება). სხვაობა შეწყვეტილი ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებასა და გადახდილ საზღაურს შორის აღიარდება მოგება-ზარალში.

### **საგადასახადო აქტივები**

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესული ცვლილების მიხედვით, 2016 წლის პირველი იანვრიდან, გადასახადების გადახდა ხდება ხაზინის ერთიანი ანგარიშის საგადასახადებისათვის განკუთვნილ ერთიან სახაზინო კოდზე. შედეგად 2019 წლის 31 დეკემბრისა და 1 იანვრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანიას საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები წარმოდგენილი აქვს დანეტებულიად.

### **მოგების გადასახადი**

საქართველოში კომპანიების წლიური მოგება, ბანკების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და სადაზღვევო კომპანიების გარდა, არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება იმ აქციონერებს შორის დივიდენდის სახით განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან საქართველოს არარეზიდენტები, წმინდა განაწილების თანხიდან 15/85 ოდენობით. მოგების გადასახადი, დივიდენდების გადახდის შედეგად, აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით დივიდენდის გამოცხადების პერიოდში.

### **საწესდებო კაპიტალი**

კომპანიის საწესდებო კაპიტალი განისაზღვრება კომპანიის წესდებით. კომპანიის წესდების ცვლილება შესაძლებელია მხოლოდ დამფუძნებლების გადაწყვეტილების საფუძველზე. აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით შენატანის განხორციელების მომენტში, როგორც კომპანიაში დამფუძნებლის შენატანი.

### **შემოსავლებისა და ხარჯების აღიარება**

შემოსავლების აღიარება ხორციელდება იმდენად, რამდენადაც მოსალოდნელი ეკონომიკური სარგებლის შემოდინება კომპანიაში, ამასთან შემოსავლის შეფასება შესაძლებელია რეალურად, მიუხედავად იმისა როდის განხორციელდა გადახდა. შემოსავალი საქონლის ან მომსახურების რეალიზაციიდან აღიარდება მაშინ როდესაც კომპანიამ მიაწოდა მყიდველს საქონელი ან გაუწია მომსახურება და მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი მყიდველზე გადავიდა, კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი. შემოსავლების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

ხარჯების აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. ხარჯები გაწევისთანავე აღიარდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, თუ ხარჯებისგან ეკონომიკური სარგებლის მოტანა მომავალში აღარაა მოსალოდნელი ან თუ მომავალი ეკონომიკური სარგებელი აღარ აკმაყოფილებს ბალანსში აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

### **4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებები და დაშვებები**

კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი შემოსავლის, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში. ანგარიშგების თარიღის მდგომარეობით ძირითადი დაშვებები, რომლებმაც შეიძლება მომდევნო ფინანსურ წელს აქტივებისა და

## **შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(*ქართულ ლარში*)

---

ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში მნიშვნელოვანი კორექტივები განაპირობოს, მოცემულია ქვემოთ.

### **სავაჭრო და სხვა მოთხოვნები**

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების ანგარიშების გაუფასურების რეზერვი ეყრდნობა კომპანიის მიერ იმის შეფასებას, თუ რამდენად მოსალოდნელია გარკვეული დებიტორების ნაშთების ამოღება. თუ მსხვილი დებიტორის კრედიტუნარიანობის გაუარესებას აქვს ადგილი, ან ფაქტობრივად ვადაგადაცილება უფრო მაღალია ვიდრე განსაზღვრული იყო, სავაჭრო დებიტორული ანგარიშები შესაძლოა დარეზერვდეს. კომპანიის შეფასება შეიძლება მომავალში გადაისინჯოს უარყოფითად ან დადებითად, იმისდა მიხედვით, თუ როგორია შედეგი ან მოლოდინი, დავალიანების გარშემო არსებული გარემოებების საფუძველზე.

### **ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა**

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე. სასარგებლო გამოყენების ვადა გადაიხედება ყოველი ფინანსური წლის ბოლოს და დაშვებაში ცვლილების საჭიროების შემთხვევაში მოხდება მისი განახლება.

### **მარაგების მნიშვნელოვანი დაშვებები**

მარაგები მოცემულია ღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესით და კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს იყენებს მსჯელობას და დაშვებებს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ფასის განსაზღვრად.

მარაგების ხანდაზმულობის ვადის გამო, კომპანია ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს განსაზღვრავს მარაგების წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას ვადაგასულ და „ნელა მოძრავ“ მარაგებზე და შემდეგ ჩამოწერს მარაგების ღირებულებას წმინდა სარეალიზაციო ღირებულებამდე. წმინდა სარეალიზაციო ღირებულების განსაზღვრა ძირითადად დამოკიდებულია კონკრეტული დროის პერიოდში მოსალოდნელ მომავალ მოთხოვნაზე.

### **საგადასახადო კანონმდებლობა**

საქართველოში მოქმედი საგადასახადო კანონმდებლობა ხშირად იცვლება და სხვადასხვაგვარი ინტერპრეტაციის საშუალებას იძლევა. ამასთანავე, საგადასახადო ორგანოების მიერ კომპანიის ოპერაციებთან და საქმიანობასთან დაკავშირებული კანონმდებლობის ინტერპრეტაცია შეიძლება არ ემთხვეოდეს კომპანიის ხელმძღვანელობის ინტერპრეტაციებს. ამის გამო საგადასახადო ორგანოებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენონ გარიგებები და კომპანიას დააკისრონ მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები. საგადასახადო ორგანოებს უფლება აქვთ, საგადასახადო კუთხით შეამოწმონ კომპანიის საქმიანობა წინა სამი კალენდარული წლის განმავლობაში. ზოგ შემთხვევაში შემოწმებამ შეიძლება უფრო დიდი პერიოდიც მოიცვას. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ შესაბამისი კანონმდებლობის მისეული განმარტება ჯეროვანია და რომ კომპანიის საგადასახადო პოზიციებთან დაკავშირებული მონაცემები უცვლელი დარჩება.

კომპანიამ თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და დაშვებები მომავალ მოვლენებთან დაკავშირებით შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება კომპანიის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

---

**შპს „ტრანსპორტერი“**

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

**5 ძირითადი საშუალებები**

| ძირითადი საშუალებები     | კავშირგაბმულობის საშუალებები | ოფისის აღჭურვილობა | კომპიუტერული ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები | ავტო            | ინვენტარი       | სპეციალური ინსტრუმენტები | სარეკლამო საშუალებები | სატრანსპორტო საშუალებები | იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა | სულ              |
|--------------------------|------------------------------|--------------------|---------------------------------------------------|-----------------|-----------------|--------------------------|-----------------------|--------------------------|-------------------------------------|------------------|
| <b>31-დეკ-2017</b>       | <b>3,760</b>                 | <b>9,603</b>       | <b>19,825</b>                                     | <b>13,543</b>   | <b>11,673</b>   | <b>35,042</b>            | <b>30,807</b>         | <b>26,967</b>            | <b>12,544</b>                       | <b>163,764</b>   |
| შეძენა                   | 2,424                        | -                  | 5,337                                             | 8,891           | 15,763          | 8,081                    | 4,434                 | 101,133                  | 10,880                              | 156,942          |
| გასვლა                   | -                            | -                  | -                                                 | -               | -               | -                        | -                     | (31,991)                 | -                                   | (31,991)         |
| <b>31-დეკ-2018</b>       | <b>6,184</b>                 | <b>9,603</b>       | <b>25,162</b>                                     | <b>22,434</b>   | <b>27,436</b>   | <b>43,123</b>            | <b>35,240</b>         | <b>96,110</b>            | <b>23,424</b>                       | <b>288,715</b>   |
| შეძენა                   | 12,649                       | -                  | 884                                               | 5,544           | 24,509          | 4,059                    | 10,967                | 60,799                   | 4,609                               | 124,020          |
| გასვლა                   | -                            | -                  | -                                                 | -               | -               | -                        | -                     | -                        | -                                   | -                |
| <b>31-დეკ-2019</b>       | <b>18,833</b>                | <b>9,603</b>       | <b>26,046</b>                                     | <b>27,977</b>   | <b>51,945</b>   | <b>47,182</b>            | <b>46,207</b>         | <b>156,909</b>           | <b>28,033</b>                       | <b>412,735</b>   |
| <b>ცვეთა</b>             |                              |                    |                                                   |                 |                 |                          |                       |                          |                                     |                  |
| <b>31-დეკ-2017</b>       | <b>(1,596)</b>               | <b>(1,163)</b>     | <b>(4,055)</b>                                    | <b>(1,582)</b>  | <b>(2,088)</b>  | <b>(9,846)</b>           | <b>(4,712)</b>        | <b>(2,784)</b>           | <b>(4,252)</b>                      | <b>(32,079)</b>  |
| ცვეთა                    | (986)                        | (1,921)            | (4,451)                                           | (3,772)         | (3,252)         | (7,932)                  | (6,928)               | (17,204)                 | (4,237)                             | (50,682)         |
| გასვლის ცვეთა            | -                            | -                  | -                                                 | -               | -               | -                        | -                     | 1,613                    | -                                   | 1,613            |
| <b>31-დეკ-2018</b>       | <b>(2,581)</b>               | <b>(3,084)</b>     | <b>(8,507)</b>                                    | <b>(5,354)</b>  | <b>(5,340)</b>  | <b>(17,778)</b>          | <b>(11,640)</b>       | <b>(18,374)</b>          | <b>(8,489)</b>                      | <b>(81,148)</b>  |
| ცვეთა                    | (1,417)                      | (1,921)            | (5,129)                                           | (5,067)         | (7,989)         | (9,021)                  | (8,241)               | (29,682)                 | (5,161)                             | (73,627)         |
| გასვლის ცვეთა            | -                            | -                  | -                                                 | -               | -               | -                        | -                     | -                        | -                                   | -                |
| <b>31-დეკ-2019</b>       | <b>(3,998)</b>               | <b>(5,004)</b>     | <b>(13,635)</b>                                   | <b>(10,421)</b> | <b>(13,330)</b> | <b>(26,799)</b>          | <b>(19,881)</b>       | <b>(48,057)</b>          | <b>(13,650)</b>                     | <b>(154,775)</b> |
| <b>წმინდა ღირებულება</b> |                              |                    |                                                   |                 |                 |                          |                       |                          |                                     |                  |
| <b>31-დეკ-2017</b>       | <b>2,164</b>                 | <b>8,440</b>       | <b>15,770</b>                                     | <b>11,961</b>   | <b>9,585</b>    | <b>25,196</b>            | <b>26,095</b>         | <b>24,184</b>            | <b>8,291</b>                        | <b>131,685</b>   |
| <b>31-დეკ-2018</b>       | <b>3,602</b>                 | <b>6,519</b>       | <b>16,655</b>                                     | <b>17,080</b>   | <b>22,096</b>   | <b>25,345</b>            | <b>23,601</b>         | <b>77,736</b>            | <b>14,934</b>                       | <b>207,567</b>   |
| <b>31-დეკ-2019</b>       | <b>14,835</b>                | <b>4,599</b>       | <b>12,410</b>                                     | <b>17,556</b>   | <b>38,615</b>   | <b>20,384</b>            | <b>26,327</b>         | <b>108,852</b>           | <b>14,383</b>                       | <b>257,960</b>   |

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 6 გაცემული სესხები

კომპანიის გაცემული სესხები შედგება დაკავშირებულ მხარეებზე - შპს ტრანსპორტერ ბაიკზე და ტრანსპორტერ იქსზე გაცემული სესხებისგან. გაცემულ სესხზე კომპანია პროცენტს განსაზღვრავს გაცემის მომენტში NBG-ს მიერ დადგენილი საბაზრო პროცენტით.

### 7 ფული და ფულის ეკვივალენტები

კომპანიას ფული და ფულის ეკვივალენტები შედგება ქართულ ბანკებში მიმდინარე ანგარიშებზე განთავსებული თანხებისგან და სალაროში არსებული თანხებისგან.

|                                        | 31-დეკ-19     | 31-დეკ-18      |
|----------------------------------------|---------------|----------------|
| ეროვნული ვალუტა რეზიდენტ ბანკში        | 66,385        | 54,497         |
| ნადი ფული სალაროში                     | 4,479         | 2,231          |
| უცხოური ვალუტა რეზიდენტ ბანკში         | 507           | 124,033        |
| <b>სულ ფული და ფულის ეკვივალენტები</b> | <b>71,371</b> | <b>180,761</b> |

### 8 სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

|                                          | 31-დეკ-19      | 31-დეკ-18      |
|------------------------------------------|----------------|----------------|
| მოთხოვნები მოწოდებიდან ან მომსახურებიდან | 521,998        | 490,011        |
| მოთხოვნები საწარმოს პერსონალის მიმართ    | -              | (230)          |
| საექვო მოთხოვნების რეზერვი               | (389,369)      | (366,428)      |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები</b>    | <b>132,629</b> | <b>123,353</b> |

### \*საექვო მოთხოვნების რეზერვი

|                            | 2019             | 2018             |
|----------------------------|------------------|------------------|
| ნაშთი წლის დასაწყისში      | (366,428)        | (366,428)        |
| ცვლილება წლის განმავლობაში | (22,941)         | -                |
| <b>ნაშთი წლის ბოლოს</b>    | <b>(389,369)</b> | <b>(366,428)</b> |

### 9 სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

|                                              | 31-დეკ-19        | 31-დეკ-18        |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| საქონელი                                     | 1,343,557        | 1,267,687        |
| სხვა სასაქონლო-მატერიალური მარაგი            | 5,525            | 4,093            |
| <b>სულ სასაქონლო მატერიალური ფასეულობები</b> | <b>1,349,082</b> | <b>1,271,780</b> |

### 10 კაპიტალი

კომპანიის საწესდებო კაპიტალი 2018 წლის 1 იანვრისთვის შეადგენს 1,426,407 ლარს, 2019 წლის განმავლობაში კაპიტალი შემცირდა 5,000 ლარით (2018 – 15,000 ლარით). 2019 წლის განმავლობაში კომპანიის ზარალმა შეადგინა 398,549 ლარი (2018 – 606,903 ლარი).

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 11 მოკლევადიანი სესხები

| 31-დეკ-19                       | დაწყების<br>თარიღი | დასრულების<br>თარიღი | განაკვეთი | ვალუტა | ლარი             |
|---------------------------------|--------------------|----------------------|-----------|--------|------------------|
| შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანს    | 12.09.19           | 17.08.20             | 10.6%     | ლარი   | 155,000          |
| სს თიბისი ბანკი                 | 04.05.18           | 01.05.19             | 9.0%      | ევრო   | 320,950          |
| სს თიბისი ბანკი                 | 04.11.19           | 17.02.20             | 13.2%     | ლარი   | 144,563          |
| სს თიბისი ბანკი                 | 04.11.19           | 18.01.20             | 13.2%     | ლარი   | 49,500           |
| სს თიბისი ბანკი                 | 28.09.18           | 20.03.19             | 6.5%      | ევრო   | 741,369          |
| სს თიბისი ბანკი                 | 26.03.19           | 26.03.20             | 6.5%      | ევრო   | 242,189          |
| <b>სესხის ძირი</b>              |                    |                      |           |        | <b>1,653,571</b> |
| გადასახდელი პროცენტი            |                    |                      |           |        | 180              |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b> |                    |                      |           |        | <b>1,653,751</b> |

| 31-დეკ-2018                     | დაწყების<br>თარიღი | დასრულების<br>თარიღი | განაკვეთი | ვალუტა | ლარი             |
|---------------------------------|--------------------|----------------------|-----------|--------|------------------|
| შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანს    | 20.10.17           | 30.06.19             | 11.1%     | ლარი   | 88,130           |
| შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანს    | 12.12.17           | 18.04.19             | 7.9%      | ევრო   | 48,227           |
| სს თიბისი ბანკი                 | 04.05.18           | 01.05.19             | 9.0%      | ევრო   | 307,010          |
| სს თიბისი ბანკი                 | 28.09.18           | 20.03.19             | 6.5%      | ევრო   | 578,888          |
| <b>სესხის ძირი</b>              |                    |                      |           |        | <b>1,022,255</b> |
| გადასახდელი პროცენტი            |                    |                      |           |        | 4,326            |
| <b>სულ მოკლევადიანი სესხები</b> |                    |                      |           |        | <b>1,026,581</b> |

### 12 სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

|                                                      | 31-დეკ-2019    | 31-დეკ-2018    |
|------------------------------------------------------|----------------|----------------|
| მოწოდებიდან/მომსახურობიდან წარმოქმნილი ვალდებულებები | 302,054        | 303,206        |
| გადასახდელი ხელფასი                                  | 8,749          | (6,938)        |
| <b>სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები</b>             | <b>310,803</b> | <b>296,268</b> |

### 13 საერთო მოგება

| ამონაგები                                        | 31-დეკ-2019        | 31-დეკ-2018        |
|--------------------------------------------------|--------------------|--------------------|
| საქონლის გაყიდვიდან                              | 5,244,031          | 2,835,062          |
| გაყიდული საქონლის დაბრუნება და ფასდათმობა        | (26,139)           | (9,015)            |
| <b>სულ ამონაგები</b>                             | <b>5,217,892</b>   | <b>2,826,047</b>   |
| <b>რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b>     |                    |                    |
| საწყისი მარაგები                                 | (1,271,780)        | (1,852,713)        |
| მარაგების შესყიდვა                               | (3,710,680)        | (1,465,853)        |
| მარაგების ჩამოწერა                               | 73,703             | 144,326            |
| გადატანა მ/ს                                     | 98,775             | 100,073            |
| საბოლოო მარაგები                                 | 1,349,082          | 1,271,780          |
| <b>სულ რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება</b> | <b>(3,460,900)</b> | <b>(1,802,387)</b> |
| <b>საერთო მოგება</b>                             | <b>1,756,992</b>   | <b>1,023,660</b>   |

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები  
2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის  
(ქართულ ლარში)

### 14 ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები

|                                              | 31-დეკ-2019      | 31-დეკ-2018      |
|----------------------------------------------|------------------|------------------|
| შრომის ანაზღაურება                           | 1,083,176        | 774,340          |
| საიჯარო ქირა                                 | 367,375          | 334,244          |
| მივლინების ხარჯები                           | 128,756          | 97,105           |
| ცვეთა და ამორტიზაცია                         | 74,623           | 51,678           |
| რეკლამის ხარჯები                             | 64,847           | 118,676          |
| კომუნიკაციის ხარჯები                         | 39,053           | 38,213           |
| საწვავის ხარჯები                             | 32,799           | 24,447           |
| სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურება              | 22,941           | -                |
| სამეურნეო ხარჯები                            | 22,166           | 18,287           |
| ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები         | 22,050           | 11,261           |
| დაზღვევის ხარჯი                              | 9,399            | 8,674            |
| სხვა ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი         | 106,551          | 103,339          |
| <b>სულ ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯები</b> | <b>1,973,736</b> | <b>1,580,264</b> |

### 15 გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან როგორც განსაზღვრულია IAS 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“ წარმოადგენს :

- მხარეები რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავალის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის მშობლები შვილობილი კომპანიები და თანამშრომლები); ფლობს წილს კომპანიაში რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;
- პარტნიორი საწარმო - საწარმოები რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივ საწარმო.
- ერთობლივი საწარმოები სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- ოჯახის ახლო წევრები რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- მხარე რომელიც კონტროლდება ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს პირდაპირ ან ირიბად (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული მოგება ზარალის მუხლები 2019 და 2018 წლისთვის და საბალანსო ნაშთები 2019 წლის და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

| მოგება-ზარალის მუხლები             | 31-დეკ-2019                          | 31-დეკ-2019                     | 31-დეკ-2018                          | 31-დეკ-2018                     |
|------------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|--------------------------------------|---------------------------------|
|                                    | ოპერაციები<br>დაკავშირებულ<br>პირთან | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ბრუნვა | ოპერაციები<br>დაკავშირებულ<br>პირთან | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ბრუნვა |
| გაყიდვები დაკავშირებულ მხარესთან   | 278,864                              | 5,217,892                       | 85,156                               | 2,826,047                       |
| შესყიდვები დაკავშირებული მხარისგან | (34,272)                             | (3,460,900)                     | (258)                                | (1,802,387)                     |
| საპროცენტო ხარჯი                   | (6,445)                              | (112,575)                       | (2,576)                              | (73,417)                        |

## შპს „ტრანსპორტერი“

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

2019 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

(ქართულ ლარში)

| ფინანსური მდგომარეობის<br>ანგარიშგების მუხლები | 31-დეკ-2019                   | 31-დეკ-2019                    | 31-დეკ-2018                   | 31-დეკ-2018                    |
|------------------------------------------------|-------------------------------|--------------------------------|-------------------------------|--------------------------------|
|                                                | დაკავშირებული<br>მხარის ნაშთი | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ნაშთი | დაკავშირებული<br>მხარის ნაშთი | მთლიანი<br>კატეგორიის<br>ნაშთი |
| მოთხოვნები მოწოდებიდან ან<br>მომსახურებიდან    | 404,947                       | 521,998                        | 479,440                       | 490,011                        |
| გაცემული სესხები                               | 82,980                        | 82,980                         | 110,271                       | 110,271                        |
| მოკლევადიანი სესხები                           | 155,180                       | 1,653,751                      | 140,683                       | 1,026,581                      |

ხელმძღვანელთა მთავარი რგოლის ანაზღაურება 2019 წლის დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 602,104 ლარს (2018-436,765 ლარი).

## 16 მოვლენები საანგარიშო პერიოდის შემდეგ

ეს ფინანსური ანგარიშგება დამტკიცდა გამოსაშვებად კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2020 წლის 26 სექტემბერს. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ ადგილი ჰქონდა შემდეგ არამაკორექტირებელ მოვლენებს:

- 2020 წლის აგვისტოში მოხდა შპს მაუნთინ რეზორტს სოლუმანსისგან მიღებული 155,000 ლარის ოდენობის მოკლევადიანი სესხის პატიება.
- 2020 წელს, მსოფლიო მასშტაბით, გავრცელდა ახალი კორონავირუსი COVID-19, რაც მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიერ, 2020 წლის 11 მარტს, გამოცხადებულ იქნა პანდემიად. აღნიშნული ვითარების გამო საქართველოში, 2020 წლის 21 მარტს, გამოცხადდა საგანგებო მდგომარეობა 1 თვის ვადით. შექმნილი ვითარების გამო, არა ერთი ინდუსტრია გამოწვევების წინაშე დადგა. კომპანიის ხელმძღვანელობა მიიჩნევს რომ აქვს რესურსი და ყველა პირობა იმისთვის რომ კომპანიმ საქმიანობა განაგრძოს როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, როგორც ეს აღნიშნულია მე-2 განმარტებით შენიშვნაში.